ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM

კრებული XXIV-XXV

EDITION XXIV-XXV

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო
ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმი

MINISTRY OF CULTURE AND MONUMENT PROTECTION OF GEORGIA
KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM

ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები

კრებული XXIV

WORKS OF THE STATE HISTORICAL MUSEUM

EDITION XXIV

ქუთაისი 2014-2015 KUTAISI

ციცინო მუმლაძე
ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერ წიგნთა აღწერილობა (K- N693_ K-N730) 214
Tsitsino Mumladze
THE DESCRIPTION OF MANUSCRIPT BOOKS OF KUTAISI MUSEUM 218

მაია ქებულაძე
1710 წლის სტამბური ლოცვანი ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში 220
Maia Kebuladze
THE 1710 PRINTING PRAYERS IN THE KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM 223

მაია იზორია
ჯრუჭის მონასტრის მთავარი ტაძრის დაგეგმარების საკითხისათვის 226
Maia Izoria
ON THE ISSUE OF DESIGNING THE MAIN CHURCH OF JRUCHI MONASTERY 233

მერაბ ჭუმბურიძე, ინგა ქებულაძე
სიმონეთის წმინდა გიორგის ეკლესია 235
Merab Chumburidze, Inga Qebuladze
SIMONETI ST. GEORGE CHURCH 239

ნელი უგრეხელიძე
ქუთაისის ისტორიულ მუზეუმში დაცული სასანური მონეტების კოლექციები 241
Neli Ugrekhelidze
SASSANIAN STATE COINS AT KUTAISI STATE HISTORICAL MUSEUM 243

ეკატერინე ყელაურაძე
ნიკო ნიკოლაძე ქუთაისის მუზეუმის არქივებში 245
EkaterineKelauradze
NIKO NIKOLADZE IN THE ARCHIVES OF KUTAISI MUSEUM 250

ნინო კუხიანიძე
ქუთაისის მუზეუმის ისტორიული დოკუმენტი №138 251
Nino Kukhianidze
A HISTORICAL DOCUMENT N 138 OF THE KUTAISI MUSEUM 255

ანანო აბზიანიძე
სულხან-საბა ორბელიანის ქართული ლექსიკონის ავტოგრაფი ქუთაისის მუზეუმში 256
Anano Abzianidze
GEORGIAN DICTIONARY AUTOGRAPH BY SULKHAN SABA IN KUTAISI MUSEUM 258

მარიკა გელაშვილი
სიმბოლოიანი მახარებლების მინიატურები ქუთაისის მუზეუმის ხელნაწერ
ოთხთავში (K-377) 259
Marika Gelashvili
THE SYMBOL HERALDS MINIATURE OF MANUSCRIPT FOUR GOSPELS
IN KUTAISI MUSEUM (K-377) 261

მაია იზორია - აპოლონ ქუთათელაძის სახელობის თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, რესტავრაციის, ხელოვნების ისტორიისა და თეორიის ფაკულტეტი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ჯრუჭის მონასტრის მთავარი ტაძრის დაგეგმარების საკითხისათვის

ფეოდალური ხანა საქართველოს სულიერ, კულტურულ და პოლიტიკურ ცხოვრებაში დიდ როლს თამაშობდა სამონასტრო ცენტრები. მათ შორისაა საქართველოს ულამაზეს კუთხეში, ზემო იმერეთში მდებარე, დღესდღეობით ნანგრევებად ქცეული მამათა საევანე – ჯრუჭის წმინდა გიორგის მონასტერი, რომელიც თავისი არსებობის სხვადასხვა პერიოდში მძლავრ სასულიერო კერას წარმოადგენდა.

ჯრუჭის წმინდა გიორგის მონასტრის ისტორიული ღირებულება ქართული კულტურისათვის შეუფასებელია. მის სახელს უკავშირდება შედევრებად აღიარებული მრავალი სიძველე, რომელიც თავმოყრილია ჩვენი ქვეყნის სიძველეთა საცავებში. ამ უძვირფასესი კულტურული მემკვიდრეობისაგან განსხვავებით, მონასტრის არქიტექტურა დღემდე არ ყოფილა მონოგრაფიულად გამოკვლეული. ძეგლის მრავალმხრივად შესწავლას ძალზედ ართულებს 1991 წლის მიწისძვრის დამანგრეველი შედეგი. თვითმხილველების მტკიცებით, მთამ ჰაერში აიტყორცნა და ქვემოთ დაანარცხა მონასტრის მთავარი ტაძარი. როდესაც მტვრის ბუღი და შავი ღრუბელი გაიფანტა, მიწასთან გასწორებული ეკლესია და კირის ნატეხებით გადათეთრებული მიდამო გამოჩნდა. ხუროთმოძღვრული ძეგლის ასეთი ტრაგიკული ხვედრის მიუხედავად, წერილობითი აღწერილობების, სხვადასხვა დროს გადაღებული ფოტოების, გამოქვეყნებულ შრომებში მოყვანილი მოსაზრებებისა და, უპირველეს ყოვლისა, ჩვენამდე მოღწეული არქიტექტურული ნაშთების ანალიზის შეჯერების საფუძველზე შესაძლებელია გარკვეული დასკვნების გამოტანა. 2011 წელს, ამ კუთხით მნიშვნელოვანი ღონისძიებები გატარდა საქრთველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ (სამუშაოებს ატარებდა არქიტექტურული კომპანია – „არქიტექსი", შ. მელიქიძის ხელმძღვანელობით). ჩვენ სახელოვნებათმცოდნეო თვალსაზრისით შევისწავლეთ ჯრუჭის მონასტრის ანსამბლი. ეს მეცნიერული ნარკვევი განხილული და მიღებულია სარეაბილიტაციო შენობების საბჭოს მიერ და ინახება საქართველოს კულტურული მემვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგანტოს არქივში. წინამდებარე სტატია სწორედ ამ ნაშრომის ერთი მონაკვეთია

ჯრუჭის მონასტერი მდებარეობს საჩხერის რაიონში (ყოფილი შორაპნის მაზრა), მოხვას, უზუნთას და ცხომარეთის სოფლებს შორის. სამონასტრო ანსამბლი აღმართულია ზღვის დონიდან 670მ-ის სიმაღლეზე მდინარე ყვირილას მარჯვენა შენაკადის – ჯრუჭულა/ჯრუჭურას, იგივე ჯრუჭის და მისი მცირე შენაკადის – წყალფენულა/წყალფენილასა და ფასკნარას ხეობებით გარშემორტყმული რაჭის ქედის სამხრეთ თხემზე, დაფერდებული რელიეფის ტერიტორიის განაპირა ქარაფოვანი ნაწილის შემაღლებულ ბაქანზე. მთის მუხლის (იღლიასაც ეძახიან) კლდოვანი სერის მოვაკებულ ფართობზე შერჩეული სამონასტრო ადგილიდან ულამაზეს ხედები იშლება. ზემო იმერეთისა და რაჭის საზღვარზე მდებარე გუმბათიანი ეკლესია 1991 ნლამდე შორიდანვე მოჩანდა ყოველი მხრიდან და მეგზურობას უწევდა მონასტერში ამსვლელთ თუ რაჭისკენ მიმავალ გზაზე დამდგართ. ტაძრის ადგილსამყოფელს საგანგებოდ შემოვლებული ზღუდე გამოყოფდა, რომლის საზღვრებშიაც მოხვედრა შეიძლებოდა ჩრდილოეთიდან, გალავანში ჩადგმული მაღალი სამრეკლოს ქვედა სართულის გავლით.

ეპიგრაფიკულ მონაცემებზე დაყრდნობით, სამეცნიერო ლიტერატურაში ჯრუჭის მონასტერს დაახლოებით XI საუკუნით ათარიღებენ [Brosset M., 1851 a; თ. ბერაძე, 1987წ.: გვ. 577; ზ. სხირტლაძე, 2005წ.: გვ. 40]. თუმცა, გამოთქმულია მოსაზრება, რომ ტაძრის აღმშენებლობა, შესაძლოა, X საუკუნის მიწურულს ეკუთვნოდეს [გ. ბოჭორიძე, 1995 წ.: გვ. 224; გ. ჩიღვინაძე, 2012 წ.: გვ.57-61; ტ. მაჭარაშვილი, 2008 წ.: გვ .3]. საბჭოთა პერიოდში, საქართველოს ძეგლთა დაცვის საგმართ-

ველოს მიერ მონასტრის შესასვლელის მემორიალურ დაფაზე გაკეთებული წარწერა ასევე გვაუწყებდა, რომ არქიტექტურული ანსამბლის აღმშენებლობა-განახლება-გადაკეთების ეტაპები X-XVIII საუკუნეებს ემთხვევა [ო.ნიქაბაძე, 1981 წ.: გვ. 3].

XV–XVI ს.ს-ების მიჯნაზე მონასტერი საკმაოდ ძლიერი სასულიერო კერაა. ამ დროს ოსმალები თავს ესხმოდნენ სამცხე-საათაბაგოს და არბევდნენ ქრისტიანულ ტაძრებს. იქაურმა სასულიერო პირებმა დიდი თავგანწირვის ფასად ჯრუჭში გადმოიტანეს დასაცავად საეკლესიო საგანძურის მრავალი რელიქვია, მათ შორის, წმინდა გიორგის ნაწილები. როგორც ჩანს, სწორედ ამ პერიოდში დადგა დღის წესრიგში მთავარი ტაძრის ახალი მოცულობის აგების აუცილებლობა, თანაც იმდენად საშურ საქმედ მიიჩნიეს, რომ ძეგლი ატარებს ერთგვარად „ნაჩქარევი" შენების ხასიათს. შეუსაბამოა მისი გეგმარებისთვის გუმბათის აღმართვის ადგილის შერჩევა, მაღალი არ არის მშენებლობის ხარისხიც. გარდა ამისა, შეინიშნება არაერთი გადაკეთებისა და შეკეთების კვალი, რის შედეგადაც ყალიბდება იგი საკმაოდ რთული სხეულის მქონე ძეგლად, რომელმაც მიიღო „გადაკეთებათა წყალობით შეუთანხმებელი და შეუსაბამო" [ვ.ბერიძე, 1994ნ.: გვ.208] სახე. ტაძრის მინისძვრამდე მოღწეული ხუროთმოძღვრება, თავისი დაგეგმარებითა და გარეგნული იერსახით, XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს საკულტო ნაგებობათა იმ ტრადიციას ასახავს, რომელიც XV საუკუნის მიწურულიდან დაწყებული „თავისუფალი ჯვრის" ტიპის გუმბათიანი ეკლესიების ფართოდ გავრცელებას უკავშირდება [ვ.ბერიძე, 1994ნ.: გვ.156-208]. ჯრუჭის მონასტრის ქვითკირით ნაგები მცირე ზომის ეკლესია სრულიად შეესაბამება იმ პერიოდის დასავლეთ საქართველოსთვის სახასიათო მშენებლობის მასშტაბებსა და კარგად გათლილი ქვის საშენ მასალად გამოყენებას. იმ ხანის ტენდენციებს ემორჩილება გუმბათსა და ფასადების ზედა არეებზე მოგებული ქვის მჭიდრო წყობაც. თუმცა როგორც შევნიშნეთ, მისი დაგეგმარება, ალაგ-ალაგ ქვების არათანაბარი განლაგება, რელიეფური დეკორი და წარწერების პალეოგრაფიაც იმ ელემენტებსაც ატარებს, რომელიც განვითარებული შუასაუკუნეების არქიტექტურის საწყის ხანას (X-XIს.ს) და ბაზილიკური ნაგებობის ნიშან-თვისებებს ასახავს. 1991 წლამდე მოღწეული XVI საუკუნის I ნახევარში აგებული ტაძარი ამ ადგილას არსებული პირველი ეკლესია რომ არ არის, გაზიარებულია მარი ბროსეს (ზემოთ დას. ნაშრომი), დიმიტრი ბაქრაძის [Бакрадзе Д., 1875 г.], ექვთიმე თაყაიშვილის [ე.თაყაიშვილი, 2010 წელი] და გიორგი ბოჭორიძის [ზემოთ დას. ნაშრომი] მიერ. ამ აზრისაკენ იხრება ვახტანგ ბერიძეც [ზემოთ დას. ნაშრომი], რომელიც ე. თაყიშვილისა და გ. ბოჭორიძის მსგავსად ვარაუდობდა ძველი ტაძრის ნანგრევებზე ახლის მშენებლობას, ანდა სულაც მის გადაკეთებას. წინმსწრები მოცულობა რომ სამნავიანი ბაზილიკა იყო, გარკვეულწილად აისახება XVI საუკუნის ტაძრის არქიტექტურულ სახეში.

აღსანიშნავია, რომ ჯრუჭის მონასტერი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ფაქტობრივად, ხელახლა აღორძინებულა. XIX საუკუნის დასაწყისიდან მონასტრის აღმშენებლობა უკავშირდება დავით მიტროპოლიტის სახელს, რომელმაც ჯრუჭი „პატარა ქალაქს" დაამსგავსა. ამ მოვლენებთან დაკავშირებული პუბლიკაციებისა [დ. ღამბაშიძე, 1892ნ.; Гнилосаровъ П., 1853 г] და თვითონ დავით მიტროპოლიტის ხელით შედგენილი სიის – „რაოდენი აღმიშენებია და გამიკეთებია მე დავით მიტროპოლიტს შემდეგ მიღებისა ჯრუჭის მონასტრის გამგებლობისა ჩყდ-ს წლიდგან ჩყმვ-ს წლამდე" – ...მიხედვით, რომელიც დაცულია ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ არქივში [მ.ქებულაძე, 2011ნ. გვ3], XIX საუკუნეში მონასტრის მთავარი ტაძარი არ გადაკეთებულა.

კირის დულაბზე აყვანილი ყორე-ქვით ნაგები და მოყვითალო შირიმით (ნასვრეტებიანი მსუბუქი ტუფის ქვა, იმერეთში მას „პონტიოს", „პონტიკის" სახელით მოიხსენიებენ. ტუფის ეს სახეობა ზემო უზუნთას მაღლა, რაჭის გადასასვლელის შორიახლოს მდებარე ძნელად მისადგომ "პონტიოდ" წოდებულ ადგილას მოიპოვება და გამოირჩევა ნესტიან კლიმატზე გამძლეობის უნარით, ნათელი ფერადოვნებითა და ზედაპირის ნასვრეტებიანი ფაქტურით წარმოქმნილი სილამაზით) მოპირკეთებული ტაძარი ამავე ქვით მოგებულ პლატფორმაზე იდგა და, გ.ბოჭორიძის მონაცემებით, დაახლოებით 16X13 არშინის ფართობი ეკავა. შენობა მოწეული იყო აღმოსავლეთით და პირდაპირ ებჯინებოდა პლატფორმის კედელს. გვერდებიდან მაღალ ბაქნებს (ჩრ-დან 1მ-მდეა ასული, სამხ-ით 1,80სმ-დე, შეიძლება მეტიც) იკეთებდა, ხოლო უკანა მხრით მიწის პირზე გადიოდა. პლატფორმაზე ასასვლე-

ლად აღმოსაელეთ კედლის ჩრდილო კუთხესთან და სამხრეთ ფასადთან, უშუალოდ ტაძარში შესასვლელ კართან, მაღალ-საფეხურებიანი (8-9) ქვა-კიბეები იყო განივად მიდგმული. სამხ-ის კიბის კონსტრუქციამ, ჩრდ-ისაგან განსხვავებით, თითქმის დაუზიანებლად მოაღწია.

ჩვენს ხელთ არსებულ უკლებლივ ყველა ფოტოზე გუმბათიანი ეკლესიის ფრონტონიანი მკლავები მკაფიოდ იკითხება სივრცეში და ეჭვს არ იწვევს, რომ „თაეისუფალი ჯვრის" ტიპის ტაძარია, რომელიც მცირედად წაგრძელებულია დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე და განივი მკლავები შედარებით არაღრმა აქვს. ამგვარად შეკრულ მასას გუმბათი დიდი ნაწილით აღმოსავლეთისკენ აზის და წინ არის წამონეული. თითქოსდა ნაჩქარევად არის დადგმული. გუმბათის ყელი ნახნაგოვანია, ათგვერდიანი, ყოველ ნახნაგში გაჭრილი თითო-თითო სარკმლით. შენობიდან ამოზიდული საფუძვლის ქვედა რგოლი მრგვალია. შიდა მხარეს კი ყელი მთლიანად მრგვალია. ექვთიმე თაყაიშვილი აღნიშნავს, რომ გუმბათის ყელის მრგვალი კვარცხლბეკი „როხი ქვითაა" ამოშენებული, „მომაღლოთ გრეხილი აქვს და შემდეგ იწყება გუმბათის ათგვერდიანი ყელი." ერმაკოვის ფოტოზე იგი უკვე გამაგრებულია; მრგვალი და წახნაგოვანი ნაწილების გამყოფ ზღვარზე ლითონის ქოლგაა შემოტარებული, ქვემოდან კი დამრეცად შეყენებულია მოკლე ძელები. თავად გუმბათი ცილინდრულია, საკმაოდ ციცაბო სახურავით. ეკლესიის სივრცეში იგი საკურთხევლის თაღის ნახევარსვეტებსა და მათ შუა ამოყვანილ და დას-ით მოქცეულ კამარებზე აღმართულ პილიასტრის კონსტრუქციას ეყრდნობა. საკურთხევლის აფსიდა გარედან არ ვლინდება და სწორხაზოვანი კედლით გამოდის სივრცეში. მას ორივე მხრიდან მჭიდროდ უახლოვდება მკლავებს შორის გამართული დაბალი სწორკუთხა სადგომები, რომელიც დას. მკლავსაც სამხ-დან და ჩრ-დან სიმეტრიულად მიდგმული აქვს. წერილობითი აღწერილობების თანახმად, ტაძრის ჩრდილო და სამხრეთ მკლავები ორსართულიანია შიგ გამართული სამწირველო-ეკვდერებით. ჩრ-ით იგი მოწყობილი იყო მხოლოდ დაბლა სართულზე, ზემოთ სამალავია, ხოლო სამხ-ით ორივე დონეზე მოქმედებდა. შთაბეჭდილება ისეთია, რომ გუმბათის აღმოსავლეთისკენ გაწევამ ერთგვარად დაარღვია მასათა შორის წონასწორობა. გარდა ამისა, საკმაოდ დიდი დიამეტრისა და სიმაღლის გუმბათის ნახნაგოვანი ყელი, ცილინდრული ფორმის დაქანებული სახურავით, ტაძრის არც თუ მასიურ კორპუსთან მიმართებაში ნაკლებად იწვევს მთლიანობის განცდას. რომ არა მისი შემაღლებაზე შეყენება, ალბათ, პროპორციულადაც შეუსაბამო იქნებოდა. გუმბათი რომ „დამატებულს ჰგავს", არაერთგზის აღუნიშნავს უკლებლივ ყველა მკვლევარს, ვინც კი ჯრუჭის მონასტერს შეხებია. როგორც ზემოთ მივუთითეთ, ისინი იმაშიც თანხმდებიან, რომ ეკლესია თავის დროზე სამნავიანი ბაზილიკა იქნებოდა და მოგვიანებით დაადგეს ზემოდან გუმბათი [Brosset M., 1851 a, გვ.81-88; გ.ბოჭორიძე, 1995ნ.: გვ.221; ვ. ბერიძე, 1994 ნ.: გვ.208]. ამ მოსაზრების დამადასტურებელი ძლიერი კვალი აღმოსავლეთის მხრიდან შეინიშნება, რომლის სიმეტრიულად დანანევრებულ ფასადს ნაკლებად შეხებია გადაკეთებები. ორფერდა სახურავით დაფარული მისი მაღალი შუა ნაწილი და გვერდითა სადგომების ცალი ქანობით დახურული დაბალი ფრთები ყველაზე მეტად უახლოვდება სამნავიანი ბაზილიკის სილუეტს.

ვ. ბერიძე ამ ფაქტის დასადგენად ტაძრის გასწვრივ შურფების ჩაშვებასა და არქეოლოგიური გათხრების ჩატარებას აუცილებლობად მიიჩნევდა. ეკლესიის რეაბილიტაციის მოსამზადებელ პერიოდში, ძეგლის საძირკვლის ფიზიკური მდგომარეობის გამოსაკვლევად გაკეთებულმა საინჟინრო-გეოლოგიურმა შურფებმა ამ თვალსაზრისით საინტერესო სურათი გამოავლინა. აღმოსავლეთ ფასადის ჩრდილო ნაწილის გასწვრივ და ამავე კედლის სამხ-აღმ. კუთხეში კლდოვან ქანზე დასმული საძირკვლის სიმაღლე ნახევარ მეტრს არ ცდებოდა მაშინ, როდესაც ჩრდილო ფასადის უკიდურესი დასავლეთით იგი სამ მეტრს უახლოვდებოდა, ხოლო სამხ-დას. კუთხეში 4 0სმ-ით კიდევ უფრო ქვემოთ ეშვებოდა. ეკლესიის დასავლეთ ეზოს ფართობზე წარმოქმნილი მიწის სიღრმე (კლდოვანი ქანიდან ნიადაგის ზედაპირამდე) ხელოვნურად იყო ამოვსებული კლდის ნატეხების ნაშალით. ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ჩრდილო ფასადთან გაკეთებულმა შურფმა მიწისქვეშ მოქცეული მყარად ნაგები ქვის დულაბიანი კედელი გააშიშვლა, რომლის შიდა მხრისკენ დაახლოებით 1,20 სმ. სიგანის ფართო ნიშა-სარკმელი იყო გახსნილი. ჰორიზონტალურად ჩალაგებული ბრტყელი ქვების წესიერი რიგით ამოყვანილი რელიეფურ-ზედაპირიანი კედელი თავისი წყობით ადრეულს ჰგავს და

უფრო სავარაუდოა, წინმსწრები მოცულობის ფრაგმენტს წარმოადგენდეს, რაც რეალურად ადასტურებს აღმოსავლეთ ფასადის სილუეტში ასახულ ბაზილიკური ნაგებობის არსებობას. ადრეული კედლის ნაწილის ჩრდილო ფასადის დასავლეთით აღმოჩენა ძველი და მოგვიანო ტაძრების გრძივი ღერძის თანხვედრაზე უნდა მიგვითითებდეს. საფიქრალია, რომ კედელში გაჭრილ საკმაოდ განიერ ნიშას მეორადად იყენებდნენ კრიპტა-საძველად.

ტაძრის წინმსწრები მოცულობის არსებობის საბუთად, შეიძლება გამოდგეს ეკლესიის ეზოს გაწმენდისას ნაპოვნი ასომთავრულ-ნარწერიანი ქვის ფილა, რომელიც ბოლომდე შესხავლილი არ არის. ზედ შერჩენილი კირის კვალი მოწმობს, რომ ქვა კედელში პირშექცევით იდგა და მინისძვრის რყევებს უნდა მოეწყვიტა ადგილიდან. ფილაზე იკითხება; „ნ(მინდა)ო გ(იორგ)ი ა(დიდენ) არსენ მამადმთავარი." ზ.ალექსიძის წინასწარული დასკვნით, ფილაზე ამოკაწრული ასოთა მოხაზულობა არაუგვიანეს IXს-ს უნდა ეკუთვნოდეს (ამჟამად წარწერას პალეოგრაფიულად იკვლევს თ.ჯოჯუა). ადრეულ ხანაში ტაძრის მოქმედებას ვარაუდობს გ.ჩილვინაძეც, რომელიც წარწერაში მოხსენიებულ პირს Xს-ის II ნახ-ში მოღვაწე ქართლის კათალიკოს არსენ II-სთან აკავშირებს. [გ. ჩილვინაძე, 2012 წ.: გვ.62).

წერილობითი წყაროების მიხედვით, ტაძრის შესასვლელები დასავლეთიდან და სამხრეთიდან არსებულა. საარქივო ფოტოების კადრში აღბეჭდილია მხოლოდ დაბალი, ფართო და მაღალ-პარმაღიანი, სნორკუთხა ფორმის დასავლეთის კარი, თავზე თაღოვანი ტიმპანის ქვით. მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ შესასვლელის გარეთა ხედი არ მოგვეპოვება, ინტერიერის ერთ-ერთი კადრის მიხედვით, დანამდვილებით ვიცით, რომ იგი თაღოვანი ყოფილა.

საარქივო ფოტოებზე ეკლესია გარეგნულად მკაცრი, მაგრამ პარადული იერით გამოიყურება. ექვთიმე თაყაიშვილი წერს: „ქვები ტაძრისა ნათალია, ზოგ ადგილას ცემენტით შემაგრებული. დიდრონი არ არის, პატარანია". ადრე მისი ფასადები დიდი რელიეფური ჯვრებით ყოფილა გაფორმებული, რომლის ნაკვალევი ჩრდილოეთის მხარეს ეტყობა.

აღმოსავლეთ ფასადი დანარჩენებისგან გამორჩეულია თავისი გაწონასწორებული კომპოზიციითა და შემკულობით. სივრცეში განაწილებული მასების ვერტიკალთა რიგი განტვირთული იყო ეკლესიის კორპუსსა და პლატფორმას შორის გავლებული ჰორიზონტალურად ჩალაგებული პროფილირებული ქვების მცირე შვერილით, რომელიც კარნიზის როლს ასრულებდა და ჩრდილოეთის ბაქანსაც კიდეებში გასდევდა. მინისძვრისაგან გადარჩენილი აღმოსავლეთ კედლის ეს ნაწილი რეალურად დათვალიერების საშუალებას იძლევა. ზემოდან შერჩენილი კედლის ჩრდილო მხარე თავისი სწორიაზოვნებითა და მოპირკეთების სიმწყობრით ადვილად წარმოსადგენს ხდის ამ ფასადის მკაფიოდ გამოხატულ სიმეტრიულ ხასიათს. საარქივო ფოტოებზე აღბეჭდილი მისი ხედები ფასადის უაღრესად ზომიერ დანაწევრებას გვიჩვენებს, სნორკუთხა მოჩარჩოებაში ჩასმული სამი თაღოვანი სარკმელი თანაბრად ნაწილდება საკურთხეველისა და მიმდებარე სათავსების საზღვრებში. მდებარეობითა და სიმაღლითაც ფასადის ცენტრში მოქცეული საკურთხევლის სარკმელი დომინირებს. იგი ერთი ორად აღემატება გვერდითებს, რომლებიც სადგომების მოცულობის შესატყვისად, ქვემოთ ხედებიან. უკლებლივ ყველას რელიეფურად ამონეული საპირეები და რელიეფურადვე მოჩუქურთმებული ყვავილოვანი (შუა) და ვაზის მტევნების (განაპირა) მცენარეული მოტივები აფორმებს. შუა მოზრდილ სარკმელს თავზე განთავსებული აქვს ამჟამადაც შემორჩენილი XIIს-ის ნუსხურწარწერიანი მცირე ზომის ჰერალდიკური ტიპის კომპოზიცია, რასაც ნახევარსფეროებზე აღმართულ ჯვრების ცენტრში მოქცეულია მჯდომარე ღვთისმშობელი ყრმით. იგი გააზრებულია, როგორც სარკმლის დეკორის ნაწილი და საპირისაგან განსხვავებით, გადმოცემულია დაბალი რელიეფითა და გრაფიკული ელემენტებით. წერილობითი მონაცემებით, ასეთი ტიპის ჰერალდიკური კომპოზიცია – ნუსხურწარწერიანი სცენა, ჯვრებს შორის მოთავსებული მაცაკაცის ფიგურით – ჯერ კიდევ XIX საუკუნეში გუმბათის ძირის აღმოსავლეთით არსებულა, მაგრამ გუმბათის ყელის ქვედა რგოლის შეკეთებისას დაღუპულა.

აღმოსავლეთ ფასადზე ყურადღებას იქცევს სარკმლების გასწვრივ განლაგებული რელიეფური ფიგურები, რომელთა რიცხვი აღწერილობათა მონაცემებით რვას აღწევდა. ისინი ძირითადად

საკურთხევლის კედლის არეზეა თავმოყრილი და წარმოდგენილია დამოუკიდებლად, ან ერთმანეთთან ფრონტალურად მდგარი მცირე ზომის გამოსახულებების სახით, რომელთა განლაგება უსისტემოა. ფიგურები ცალ-ცალკე იკითხებიან კედლის ჩრდილო ნაწილის გვერდში და სადგომებს ზემოთ. ამავე მხარეს საკურთხევლის სარკმლის გასწვრივ სამ ფიგურიანი ჰერალდიკური კომპოზიციაა განთავსებული, რომლის გარკვევა ვერ ხერხდება. ფიგურული რელიეფის კიდევ ერთი ნყვილი სარკმლის საპირისპირო ქვედა მხარესაა ჩადგმული. გრძელმოსასხამიანი ფიგურები ქტიტორებს ჰგვანან. შესაძლოა, ზოგი ტაძრის აღმშენებლობასთან, ზოგი კი განახლებასთან იყოს დაკავშირებული. გარდა ამისა, აღმოსავლეთ კიბის პანდუსის ზედაპირზე ქვებს შორის ჩაყოლებული ძალზე უჩვეულო მახვილი ყოფილა დასმული — ტაძრის ფასადებისთვის, ძირითადად, აღმოსავლეთ ფასადის შემკულობისთვის დამახასიათებელი რელიეფურად მოჩუქურთმებული სკულპტურული კოპი. აშკარაა, რომ მისთვის შერჩეული ადგილი შეუფერებელია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ არცერთი მკვლევარი ამ ელემენტის არსებობას არ აღნიშნავს, იგი მოგვიანებითაა ჩაშენებული. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პლასტიკური ელემენტი შორიახლოს დანგრეული ტაძრიდან შეეძლოთ გადმოეტანათ და, როგორც აღმოსავლეთ ფასადის დეტალს, აკურთხევლის საპატიო მხარეს მიუჩინეს ადგილი.

სულ სხვა სურათი გვაქვს ჩრდილო ფასადზე. მკლავის ზედა ნაწილის ცენტრში აღმოსავლეთის სარკმლის ფორმისა და მოჩარჩოების (ორნამენტის მოტივის გარკვევა ვერ ხერხდება) ძალზე ვიწრო ღიობია გაჭრილი. იგი სიმაღლით ჩამოუვარდება საკურთხევლის სარკმელს და თავზე ჯვრის ნაკვალევი შეენიშნება. ქვედა არეზე დატანილი მეორე ფართო სარკმელი მკვეთრად გაწეულია დასავლეთისაკენ და მოგვიანო წარმონაქმნს ჰგავს. ექვთიმე თაყაიშვილის ცნობით, ჩრდილო ფასადს აღმოსავლეთით კიდევ ერთი ფანჯარა ჰქონია, მაგრამ ამოუქოლავთ.

დასავლეთ ფასადზე ღიობების განლაგება სიმეტრიას კიდევ უფრო მოკლებულია. თავისი კონსტრუქციით სრულად მოღწეული თაღოვან-ტიმპანიანი სწორკუთხა კარი დაგვირგვინებულია ოთხკუთხა ქვაზე ნაკვეთი მცირე ჯვრის ჩუქურთმიანი რელიეფით. ცენტრში გაჭრილი კარი და მკლავის ზედა ნაწილში მოთავსებული სამხრეთისკენ გადახრილი ფოთლოვანი ნნულით შემკული მაღალი თაღოვანი სარკმელი ერთ ღერძზე არ ხვდება. მათი განლაგების ასიმეტრიულობას უფრო გააძლიერებდა დასავლეთ ფასადის ქვედა ნაწილში სამხრეთისკენ გადაწეული მეორე მომცრო სარკმელი, რომელიც ტაძრის ინტერიერის ერთ-ერთ ფოტოზე ფიქსირდება. გარდა ამისა, ამ ფასადის დეკორის მოტივებს გვიანი შუასაუკუნეების ევროპული გავლენების კვალი ატყვია და მათი კვეთილობაც ერთგვარად გამარტივებულია. სნორკუთხა კარის მოჩარჩოების დეკორს ლილვებს ირგვლივ ნნული და ღენტური ორნამენტი შემოუყვება. ტიმპანის თაღის ძლიერი შვერილიც სრულიად გლუვია. შესაძლოა, ეს გაკეთდა გამიზნულად, შესასვლელის ორივე მხარეს ჩასმული წმინდა მხედრების რელიეფური ფილების, იქვე ამოკვეთილი ჯვრის და ქტიტორთა გამოსახულებების ხაზგასასმელად. სკულპტურულ მახვილებთან ერთად მრავლად ჩართულია ნუსხურნარწერებიანი ქვებიც, რომლებიც სპეციალისტთა მიერ X–XI საუკუნეებით თარიღდება.

დასავლეთის მსგავსად, არ გაგვაჩნია. სამხრეთ ფასადის მთლიანი ხედის ფოტოც. კადრებში მოხვედრილია მხოლოდ ფრონტონის არე და გადახურვა. თუ აღწერებით ვისარგებლებთ, ამ მხარეს ეკლესიას ფრონტონის არეში ერთმანეთის სიახლოვეს ჰორიზონტალურ ღერძზე მოთავსებული ორი მცირე ზომის სარკმელი ჰქონია, რომელთა მოჩარჩოება ნნულით ყოფილა გაფორმებული. მოგვიანებით, ქვემოთაც გაუჭრიათ ორი ოთხკუთხა სარკმელი. მათ შუა ჩადგმული რელიეფური სცენა ფიგურებს შორის მოქცეულ ჯვრის გამოსახულებას გადმოსცემდა. ე.თაყაიშვილის შეფასებით რელიეფი ტლანქადაა შესრულებული. მისივე ცნობით, სამხრეთის კარი ამაღლებულ ბაქანზე იწყებოდა და მოწითალო ქვით იყო მოჩარჩოებული, რომელსაც თავზე მოყვითალო ქვის ჯვარი ჰქონდა ნაკვეთი. როგორც უკვე შევნიშნეთ, თაღოვანი მოყვანილობის სამხრეთის კარი ინტერიერის ერთ-ერთ კადრზეა აღბეჭდილი. გუმბათის ყელის ყოველ წახნაგში გაჭრილი თითო-თითო თაღოვანი სარკმელი ყოველგვარი მოჩარჩოების გარეშე გამოდიოდა სიერცეში და სიმაღლის გამო შემკულობას არც საჭიროებდა. ამგვარად, აღმოსავლეთ ფასადის გარდა, ტაძრის კედლების ღიობე-

ბით დანაწევრება ასიმეტრიული და უსისტემოა, რაც სხვადასხვა პერიოდის გადაკეთებების შედეგი უნდა იყოს. საამშენებლო ფენების გარკვეულ დაშორებაზე მიგვითითებს ქვის თანაბარი კვადრებით გუმბათის ყელის ნახნაგების სნორხაზოვნად ამოყვანა და შენობის კორპუსის ქვედა არეების მოგება სხვადასხვა ფორმის (სნორკუთხა და ჰორიზონტალურად გაზიდული) ქვებით, რომელიც ალაგ-ალაგ კედლის ზედაპირის სისწორეს არღვევს. ამავე დროს ფასადების დაზიანებული და მორღვეული არეები შიდა მხრიდან კირის ფენებითა და დიდრონი ლოდებით ნაშენი ტაძრის უჩვეულოდ სქელ კედლებს გვიჩვენებს. ფასადების რელიეფური დეკორის ერთადერთი გამაერთიანებელი ელემენტი მცირე ჯვარია, რომელიც ხან მასშტაბურად აღმატებული სარკმლების თავებს აფორმებს, ხან ჰერალდიკურ კომპოზიციებშია ჩართული და ხანაც ფასადის კედელზე განცალკევებით გამოისახება.

საარქივი ფოტოების ფრაგმენტულობის გამო ტაძრის შიდა სივრცის სტრუქტურისა და არქიტექტურული ფორმების გარკვევა საკმაოდ ძნელდება. გადაღებული ფოტოების უმეტესობა სამნირველოების მხარეს არა ერთიანად, არამედ ნაწილ-ნაწილ ასახავს. კადრში ერთადერთხელ ხვდება, სავარაუდოდ, საკუთხეველის ბემის სამხრეთი მკლავისკენ გამომავალი გვერდი, სადაც შესასვლელი კარის თაღის მცირე ნანილიც ჩანს. ამიტომ სრული სურათის აღსადგენად ადრეულ აღწერილობებს მოვიშველიებთ, რომელთა თანახმადაც ეკლესია სამნავიანია. შუა ნაწილი გვერდებს უკავშირდება სამ-სამი კამარით. ცენტრალური ზომებით აღემატება კუთხეებში გადასროლილ კამარებს. ისინი ეყრდნობიან პილიასტრებით გამაგრებული ჯვროვანი კვეთის ქვის ოთხ სვეტს (ამიტომაც წერენ მათ მრავალკუთხოვნებაზე) და დასავლეთისა და საკურთხევლის კედლებზე მიდგმულ ასეთივე ფორმის პილიასტრებს. ამგვარად, გუმბათქვეშა მზიდი კონსტრუქცია – ოთხ სვეტი, პილიასტრებთან ერთად თანაბრად ინაწილებდა შეუსაბამო ადგილას აღმართული მაღალი გუმბათის დაწოლას. საკურთხევლის ფარგლებში სამი-მეოთხედით შეჭრილი გუმბათის დიდი დიამეტრისა და სიმძიმის გამო, მისი შიდა მხრიდან წრიული ყელი კიდეებით ებჯინებოდა პილიასტრების კონსტრუქციებსაც; ერთი, რომელიც მოწყობილი იყო აღმოსავლეთის თაღს ზემოთ, კედლის შუაწელში გამართულ კამარაზე, მეორე კი, ამოყვანილი იყო დასავლეთის მხარეს გადასროლილ კამარაზე. საკურთხეველის აფსიდას გვერდითა კედლები სწორხაზოვანი ჰქონია. სწორედ ეს გვაფიქრებინებს, რომ მის წინ ბემა იყო გამართული და მკლავის სივრცე საკურთხეველს მთლიანად ეკავა. აფსიდის შუაში ქვის ტრაპეზი იდგა, ხოლო კედელთან მიდგმული ყოფილა სამღვდელმთავრო ქვის საჯდომები. საკურთხეველი აქეთ-იქიდან ისაზღვრებოდა სნორკუთხა სადგომებით. ვინაიდან, სამკვეთლო თახჩაში ანუ კედლის ნიშაში იყო მოწყობილი, სავარაუდოა, ამ სადგომებს სადიაკვნოსა და სანათლავის დატვირთვა გააჩნდათ. სამხრეთისა და ჩრდილოეთის მკლავებში გამართული იყო ორსართულიანი სამნირველოები. მხოლოდ ჩრდილოეთის მხარეს ჰქონია მეორე სართულზე სამალავი. ე.თაყაიშვილის მონაცემებით, სამნირველოები სამი თაღით ყოფილა გახსნილი. აქედან ორი ეკლესიის სივრცეს უკავშირდებოდა, ხოლო ერთი საკურთხეველს. იგი წერს „ახლა ესენი ამოშენებულია და სამხრეთისაში სამლოცველოა, ხის უბრალო კანკელით და კედელზედ მიდგმული ტრაპეზით. მეორე ჩრდილოეთის ნაწილში სამლოცველო არ არის და აღმოსავლეთის ფანჯარაც დახშულია. სამხრეთის ეკვდერში ასასვლელად კიბეა ხისა". ეკლესიის ინტერიერშიაც არაერთი წარნერაა აღნუსხული. სვეტებზე ამოკვეთილი იყო XI ს-ის კალატოზების წარწერები. ტაძრის შიდა სივრცის სამხრეთ ნაწილში მონასტრის წინამძღვრისა და წერეთელთა დიდი ოჯახის წევრთა საფლავზედა ქვებია. სტატიის წინასწარ განსაზღვრული მოცულობის გამო ამჯერად აღარ განვიხილავთ ნეკროპოლს, საფლავზედა ქვების სტილისტიკასა და წარწერებს.

კადრებში აღბეჭდილ ხედებზე საკურთხეველი, მკლავები და სამნირველოებიც სხვადასხვა სიმაღლის თაღებით იხსნება ცენტრალური სივრცისაკენ, რომელიც ეკლესიის მცირე ფართობის მიუხედავად, საკმაოდ მაღალია და პილიასტრებიანი ორმაგი არკატურით გაფორმებული კედლები აქვს. გუმბათის ყელის აფრებით შექმნილი არკატურის საზღვრებშიაც 2-2 ასეთივე თაღნარია მოქცეული. მკლავების თაღების კამაროვან გადახურვასაც კედლების არკატურის კაპიტელებზე დაბჯენილი პილასტრების მრუდე შვერილები შემოუყვება, ხოლო მათ დამასრულებელ კედელს იატაკიდან კუთხეებში ამომავალი ვიწრო პილიასტრები ამშვენებს. თაღოვანია გასასვლელებისა და კარ-სარკმლების

ღიობების მოყვანილობაც. შესაძლოა, გუმბათის ყელმა შიგნითა სიმრგვალე (გარედან ნახნაგოვანია) თაღოვანი ფორმების პლასტიკურ რიტმთან შესათანხმებლადაც შეიძინა. კადრებში კარგად ჩანს, რომ სვეტები ჯვროვანი კვეთის მძლავრი ბურჯებია, რომლებიც ყოველი მხრიდან გამაგრებულია პილიასტრებით. ფასადებზე მას სწორკუთხა, განიერი და კედლების არკატურის სიმაღლეზე აწეული პილიასტრები აქვს მიდგმული, ხოლო გადასროლილი ორმაგი თაღის საბჯენად – სამი დაბალი და ვიწრო პილიასტრის ერთად შეკრულ შვერილს (შუა უფრო გამონეულია) იკეთებს. ღიობების ჭრის დათვალიერება საგრძნობლად სქელი კედლების სიმძლავრესაც გვიჩვენებს ამიტომ ძნელი არ იქნებოდა მის სილრმეში ამოღებული ორმაგი არკატურის გაკეთება. გარედან შემოვლებული თაღები და პილიასტრების კაპიტელებიც პროფილირებულია ლილვებითა და სხვადასხვა სიღრმის ფოსოებით. შიდა თაღებს კი მახვილი კიდეები აქვს და პერსპექტივშია შენეული. ზოგან ფოტოზე არკატურის სისტემაში შიდა თაღედი მოშლილია, რაც დროთა განმალობაში მომხდარ დაზიანებებს უნდა მიეაწეროთ. ფოტოებზე ასევე არ ჩანს და, სავარაუდოა, მოგვიანებით ამოაესეს. ეკვდერების მეორე სართულზე ასასვლელი, ალბათ, უფრო კედელში გახსნილი ღიობი, რადგან ე. თაყაიშვილის მიხედვით, მიახლოება შეიძლებოდა ხის კიბის საშუალებით. ტაძრის შიდა სივრცეს ამგვარი გადაკეთებებისა და კედლების პირზე შერჩენილი კირით ნალესობის არაერთი კვალი ატყვია. უნდა ითქვას, რომ თაღოვანი ფორმებით დაკავშირებული ინტერიერის სივრცეები, კარ-სარკმლების, თაღოვანი კონსტრუქციები თუ კედლების გასაფორმებლად გამოყენებული პილიასტრებისა და თაღნარის სისტემა მყუდრო, ინტიმურ გარემოსთან ერთად ერთგვარ საზეიმო განწყობასაც იწვევს. ეკლესია თავდაპირველად მოხატულიც ყოფილა. მიტროპოლიტი დავითის ცხოვრებისადმი მიძღვნილ ნერილებში აღნიშნულია, რომ საბურავის დაზიანების გამო მოხატულობა ისე ჩამორეცხილა, მისი აღდგენა შეუძლებელი გამხდარა. წყლის ჟონვისაგან დანესტიანებული კედლები შეკეთებისას ნალესობის ფენით დაუფარავთ. ამ ცნობას, რეალურად ადასტურებს მიწისძვრის რყევებისას აცვენილი ნალესობები და საკურთხევლის აფსიდის ნანგრევის ზედაპირზე გამოჩენილი ოქრა-მოწითალო სალებავით მოხატული ბათქაშის ნაშთები.

განხილვამ გვიჩვენა, რომ ტაძრის მიწისძვრამდე მოღწეული ხუროთმოძღვრება, თავისი დაგეგმარებითა და გარეგნული იერსახით, XVI-XVIII საუკუნეების დასავლეთ საქართველოს საკულტო ნაგებობათა იმ ტრადიციას ასახავს, რომელიც XV საუკუნის მიწურულიდან დაწყებული „თავისუფალი ჯვრის" ტიპის გუმბათიანი ეკლესიების ფართოდ გავრცელებას უკავშირდება [ვ. ბერიძე, 1994წ.: გვ.156-208]. ჯრუჭის მონასტრის ქვითკირით ნაგები მცირე ზომის ეკლესია სრულიად შეესაბამება იმ პერიოდის დასავლეთ საქართველოსთვის სახასიათო მშენებლობის მასშტაბებსა და კარგად გათლილი ქვის საშენ მასალად გამოყენებას. იმ ხანის ტენდენციებს ემხრობა გუმბათსა და ფასადების ზედა არეებზე მოგებული ქვის მჭიდრო წყობაც. თუმცა როგორც შევნიშნეთ, მისი დაგეგმარება, ალაგ-ალაგ ქვების არათანაბარი განლაგება, რელიეფური დეკორი და წარწერების პალეოგრაფიაც (ჯრუჭის მონასტრის ეპიგრაფიკული მასალა შესწავლილი და გამოქვეყნებულია არაერთი მეცნიერის მიერ [Brosset M., 1851 a;, თ.ხუსკივაძე, 1889წ.; Хускивадзе Ф., 1892г; Г'нилосаровъ П., 1853; ი.წერეთელი,1886წ.; დ. ღამბაშიძე, 1892წ.; ე.თაყაიშვილი,2010 წ.; გ.ბოჭორიძე, 1995წ.; ვ. სილოგავა,1980წ.; გ. ჩილვინაძე, 2012 წ. და სხვები], ამიტომ ამჯერად სტატიაში აღარ განვიხილეთ) იმ ელემენტებსაც ატარებს, რომელიც განვითარებული შუასაუკუნეების არქიტექტურის საწყის ხანას (X-XI ს.ს) და ბაზილიკური ნაგებობის ნიშან-თვისებებს ასახავს.

ლიტერატურა:

1. თ. ბერაძე, 1987წ.: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ XI, თბილისი
2. ვ. ბერიძე, 1995 წ.: XVI-XVIII საუკუნეების საეკლესიო ხუროთმოძღვრება, თბილისი
3. გ. ბოჭორიძე, 1995 წ.: იმერეთის ისტორიული ძეგლები, თბილისი
4. ექ. თაყაიშვილი, 2010 წელი.: ჯრუჭის მონასტერი და მისი სიძველეები, გამოსაცემად მოამზადა ზაზა სხირტლაძემ ნათია გელდიაშვილის მონაწილეობით, თბილისი (წიგნში გამოქვეყნებულია საქართველოს კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცული ექ.

თაყაიშვილის ფონდის (№489) მასალები)
5. ტ. მაჭარაშვილი, 2008 წ.: ჯრუჭის მონასტერი, მოკლე ისტორიული ნარკვევი, თბილისი
6. ო. ნიქაბაძე, 1981 წ.: „ჯრუჭს მიხედვა ჭირდება" გაზ. „კომუნისტი", 4 ოქტომბერი
7. ვ. სილოგავა, 1980 წ.: დასავლეთ საქართველოს წარწერები, ლაპიდარული წარწერები, II, ნაკვ. I (IX–XIIIს.ს.), ქართული წარწერების კორპუსი, თბილისი
8. ზ. სხირტლაძე, 2005 წ.: „ჯრუჭის მონასტერი და მისი სიძველენი", ჟურნ. „ფუძე" №3 (5)
9. მ. ქებულაძე, 2011 წ.: „ჯრუჭის მონასტრის არქიტექტურულ ნაგებობათა ისტორიისათვის", ქუთაისის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის შრომები, კრებული, XXI, ქუთაისი
10. დ. ღამბაშიძე, 1892წ.: „მიტროპოლიტი დავითი", ჟურნ. „მწყემსი", №2-5
11. გ. ჩილვინაძე, 2012 წ.: „ჯრუჭის მონასტრის ისტორიისათვის", ისტორიულ-შემეცნებითი ჟურნ. „ისტორიანი", №2(14)
12. ი.წერეთელი,1886 წ: „ჯრუჭის მონასტერი", ჟურნ. „მწყემსი"
13. თ. ხუსკივაძე, 1889 წ: „საისტორიო და საარხეოლოგიო აღწერა", გაზ. „ივერია", 12-13 აგვისტო, №171-172
14. Бакрадзе Д., 1875г: Кавказ в древних памятниках христианства, кн. 1, Тф.,
15. Гнилосаровъ П., 1853г: Очерки из жизни давида , Кавказский календарь на 1854 г. Тифлис
16. Хускивадзе Ф., 1892г: Квирильское ущелье, Сб., материапов для описания местностей и племен кавказа
17. Brosset M., 1851 a.: Rapports XII, St. Petersbourg

MAIA IZORIA

ON THE ISSUE OF DESIGNING THE MAIN CHURCH OF JRUCHI MONASTERY

Historical value of the St. George's Jruchi Monastery is inestimable for Georgian culture. Its name is associated with numerous ancientry recognized as masterpieces, which are kept in our country's museums, centers, collections and funds.

In contrast to the history and paleographic heritage of the Monastery, about which we have enough data, its architecture has not yet been studied monographically. It has been only made the assumptions about the date of the Monastery establishment, and we haven't got exact date of it. After the construction, it has passed through a number of stages rehabilitation and reconstruction, as an initial period of which, in the academic circles, is considered the eleventh century, and sometimes the end of the tenth century as well.

The fact that the dome church erected in the first half of the sixteenth century, which had existence until earthquake, was not a first church in this area is confirmed by Marie Brosset, Dimitri Bakradze, Ekvtime Takaishvili and Giorgi Bochoridze. Vakhtang Beridze, who, like E. Takaishvili and G. Bochoridze, assumed to build a new church or even to reconstruct it completely on the ruins of the old one, is also in the way to think so. The fact that the previous volume was a three-boat basilica, is also reflected in the sixteenth century's church architecture.

The first half of the sixteenth century is a period revival of the Monastery's spiritual life that is confirmed by numerous significant ancientry bringing from Ottomans to Samtskhe-Saatabago under the shelter of Jruchi Monastery, including St. George's holy relics. Presumably, these events conditioned the necessity of the constructing a new main church, especially since this tendency was observed throughout Georgia. Probably, that is why he church architecture is of a some „hurriedly" built structure. Selection of location of dome is not suitable for its design, as well as the quality of construction leaves much to be desired. In addition, the traces of redesign and repair are visible, as a result of which it is formed as a monument with a a rather complex construction.

The church designing is based on the common for West Georgia of those times the type of the free cross. The structure is erected on the specially-designed platform, against which it rests from the east. From the north and south it has the different platforms having the different heights, and transversely leant stone with stair treads. In the west it comes out to the ground surface. On the west-east axis, it is slightly lengthened, but its transverse arms are relatively shallow. Between them, there are placed symmetrically the low rectangular tabernacles with a single inclination of roof. The dome is not placed in the middle on the fronton arms, but is moved at ¾ to the east. The large-diameter dome neck is faceted and decalateral. Its upper ring taken out from the building is of a round shape. The dome neck is of a round-shape on the inside as well. The dome itself is of a cylinder shape, crowned with a steep roof. In the church space, the dome was resting on the pilasters of the altar side and on its middle arch firmament, as well as on the pilaster made on the western arch firmament. The entries were arranged from the west and from the south. The northern and southern arms of the church are two-storied with altar-chapels arranged inside it. On the north they were arranged only at the lower storey, upstairs – the hiding-place and from the south, they were acting on the both levels. The dismemberment of the facades adorned with light facade brick is made moderately, decorated with the carved architraves, inscriptions and bold relief. When performing cleaning works in the church, there has been discovered as-yet unknown inscription (presumably of the ninth century) ripped off the facade wall. During the engineering-geological studies of foundation, along the western part of the northern facade, below the ground, there was appeared the part of the wall with a preceding volume having a wide exedra. Despite destruction, there have been preserved the building and ktitorial inscriptions with accompanying relief. A large part of the facade decorations and relieves were survived after the earthquake. The limestone layers rained down as a result of ground shaking, shed the light on the fragments of formerly existing painting as well.

Despite fact that studies of the monument were complicated by the state of structures completely destroyed by earthquake, archival materials of the last centuries (XIX-XX) – written descriptions or photographs taken at different times, as well as considerations given in the papers published, and this being the most important, due to collation of the analysis of the remains, it has become possible to make certain conclusions. One thing is obvious, historical value of the Monastery makes its architecture valuable as well. And the well-known historical incidents are associated particularly with the church existing before earthquake that makes even more important the building renovation.